შეთანხმების ფურცელი

საფრანგეთის განვითარების სააგენტოსა (გამსესხებელი) და საქართველოს (მსესხებელი) შორის 2019 წლის 7 ოქტომბერს ხელმოწერილ საკრედიტო შეთანხმებასთან დაკავშირებით

უწყება	შენიშვნა	კომენტარი
საქართველოს იუსტიციის სამინისტრო	ა) მარეგულირებელ სამართლად საფრანგეთის კანონმდებლობის მითითების; ბ) დავათა გადაწყვეტის ფორუმად საერთაშორისო სავაჭრო პალატის (ICC) წესებით არბიტრაჟის არჩევისა და გ) საქართველოს მიერ სუვერენულ იმუნიტეტზე უარის თქმის შესახებ – უნდა გადაწყდეს მიზანშეწონილობიდან გამომდინარე.	განხილული იქნა საქართველოს მთავრობის სხდომაზე ხელმოწერის უფლებამოსილების მინიჭების ეტაპზე და არსებული ჩანაწერი დარჩა უცვლელი
	ამასთან, შეთანხმების პროექტის მე-11 მუხლის 4.2. პუნქტის „ხ" ქვეპუნქტთან დაკავშირებით უნდა აღინიშნოს, რომ მასში მოცემული მითითება პროგრამის დოკუმენტების ამავე ქვეპუნქტით განსაზღვრული პირებისთვის გამხელასთან დაკავშირებით საჭიროებს დამატებით შეფასებას, იმდენად, რამდენადაც, შეთანხმების პროექტის მიზნებიდან გამომდინარე, არ იკვეთება მსესხებლის მიერ ასეთი ვალდებულების აღების საჭიროება. ამასთან, დაზუსტებას საჭიროებს დავებთან არსებული მითითებაც, ვინაიდან წინამდებარე შეთანხმების, ასევე, განსახორციელებელი პროგრამის შინაარსის გათვალისწინებით, ბუნდოვანია ხენებული დებულების არსი; კერძოდ, ამ დებულებიდან არ იკვეთება, თუ კონკრეტულად რა გარემოებებს შეიძლება მიემართებოდეს დავა, რა შეიძლება იყოს მისი საგანი და მიმართება წინამდებარე ხელშეკრულებით რეგულირებულ სამართალურთიერთობასთან, ასევე, ვინ შეიძლება იყვნენ ხსენებული დავის მხარეები. ამდენად, ბუნდოვანი რჩება გასაცემი ინფორმაციის შინაარსიც და მასთან დაკავშირებით მსესხებლის მიერ ასაღები ვალდებულების მიზანშეწონილობა.	არ არის გათვალისწინებული დონორის მიერ, ამასთან ჩანაწერის მიზანშეწონილობა განხილული იქნა საქართველოს მთავრობის სხდომაზე ხელმოწერის უფლებამოსილების მინიჭების ეტაპზე და არსებული ჩანაწერი დარჩა უცვლელი

საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტრო	შეთანხმების პროექტის ქართულ ენოვანი ტექსტის 3.3 პუნქტის, 4.2 პუნქტის, 4.3 პუნქტის (გ) ქვეპუნქტის, 8.5 პუნქტის (ე) ქვეპუნქტის, 10.8 პუნქტის, 11.4.1 ქვეპუნქტის, 11.6.3 პუნქტის და 13.1 პუნქტის რედაქცია შესაბამისობაშია მოსაყვანი ინგლისურ ენოვან ტექსტთან; შეთანხმების პროექტის ქართულ ენოვანი ტექსტი საჭიროებს საფუძვლიან რედაქტირებას და სტილისტურ შესწორებას	გათვალისწინებულია. ჩასწორდა ქართულენოვანი ტექსტი კომენტარის შესაბამისად
	„საქართველოს საერთაშორისო ხელშეკრულებების შესახებ" საქართველოს კანონის თანახმად, აღნიშნული დოკუმენტი არ წარმოადგენს საერთაშორისო ხელშეკრულების პროექტს, ვინაიდან მისი 17.1 მუხლის თანახმად, იგი რეგულირდება საფრანგეთის კანონმდებლობით.	იქნება გათვალისწინებული. შეთანხმების დადების პროცედურები განხორციელდება „სახელმწიფო ვალის შესახებ" საქართველოს კანონის მოთხოვნათა დაცვით
საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრო	შეთანხმების 2.2 მუხლის თანახმად, მსესხებელი ვალდებულია, მთლიანი ნასესხები თანხა გამოიყენოს ექსკლუზიურად შეთანხმების მე-2 განრიგში აღწერილი პროგრამის განხორციელების დაფინანსების მიზნით. როგორც ჩვენთვის ცნობილია, პოლიტიკაზე დაფუძნებული სესხის მიზნობრიობა განსაზღვრულია ბიუჯეტის საჭიროებებიდან გამომდინარე და არ იზღუდება მხოლოდ პროგრამით გათვალისწინებული	გათვალისწინებულია. აღნიშნული მუხლი ჩამოყალიბდა შემდეგი რედაქციით: 2.2 Purpose The purpose of the Facility is to finance the Borrower budget intended to implement the Program as described in Schedule 2 (Program Description) and in accordance with the Indicative Policy Matrix described in Schedule 3 (Indicative Policy Matrix).
საქართველოს ეროვნული ბანკი	შენიშვნები არ გააჩნია	
საქართველოს ფინანსთა სამინისტრო	შენიშვნები არ გააჩნია	